სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის ოქმი #2

ქ. თბილისი 2025 წლის 05 მაისი

**სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:**

1. ნაზირა კაკულია 2. მიხეილ ჩიკვილაძე 3. ნინო ფარესაშვილი 4. ლელა ბახტაძე 5. ილია თავხელიძე 6. ლია მაჭავარიანი 7. ნათელა არჩვაძე 8. ამირან ბიბილაშვილი 9. მარიამ ახალკაციშვილი 10. მაკა მურვანიძე 11. მაია ივანიძე 12. ნათია სვანაძე 13. ალექსანდრე გაბაშვილი 14. ვლადიმერ გამსახურდია 15. იზაბელა პეტრიაშვილი 16. ვლადიმერ მარგველაშვილი 17. თინა ქიტუაშვილი 18. კახაბერ ლორია 19. ანასტასია ზაქარიაძე 20. თეა ქარჩავა 21. ნიკოლოზ ჯავახიშვილი 22. ინგა სანიკიძე 23. ნათია ფიფია 24. ლუკა მამალაშვილი 25. ზურაბ გაიპარაშვილი 26. ნინო პავლიაშვილი 27. ციური სუმბაძე 28. სოფიო ხუციშვილი 29. ლალი ახალბედაშვილი 30. ადა ნემსაძე 31. თეიმურაზ მაჩაიძე 32. თამილა ჩალაძე 33. გიორგი მამარდაშვილი 34. ედიშერ ფუტკარაძე 35. მანანა ნიკოლაიშვილი 36. მარინე ხუციშვილი 37. გვანცა გვანცელაძე 38. ნოდარ ლომიძე 39. თეა შავაძე (დანართი 1)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა დასამტკიცებლად წარმოადგინა სხდომის სავარაუდო დღის წესრიგი შემდეგი სახით:

**დღის წესრიგი:**

1. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის № 104/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ინგა ზაზახიძე);

2. “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №18/2025 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: ზურაბ შენგელია);
3. „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №15/2025 დადგენილების დამტკიცების შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ლომინაძე);
4. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, ქ. თბილისსა (ს/კ 01.14.04.028.018) და ქ. ქუთაისში (ს/კ 03.05.02.452) არსებული ფართების, დადგენილი წესით, 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ, ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსების მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
5. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთის, 10 წლის ვადით, დადგენილი წესით, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
6. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებულ 69,6 კვ.მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ.მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ.მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის მიზნით, 5 წლის ვადით, დადგენილი წესით, ფართების იჯარის ფორმით გაცემისა და მათი ერთ ლოტად გამოცხადების შესახებ, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
7. ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს დაახლოებით 5 (ხუთი) კვ.მ. ფართის, დადგენილი წესით, 5 წლის ვადით, იჯარის ფორმით გაცემის შესახებ მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით (მომხსენებელი: ლაშა საღინაძე);
8. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებისთვის სტატუსის შეწყვეტის შესახებ (მომხსენებელი: გიორგი ოქიტაშვილი).

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად;

1. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი, „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის № 104/2023 დადგენილების დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ირგვლივ, კერძოდ, ცენტრის მიზნებზე და უფლებამოსილებებზე, სტრუქტურაზე, ცენტრის ქონებაზე, დაფინანსებაზე და სხვა. აღინიშნა, რომ შექმნის შემთხვევაში ცენტრი იმუშავებს ტოლერანტობის კვლევებზე, ითანამშრომლებს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან, მათ შორის: ოქსფორდის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი), ტოლერანტობის განათლების საერთაშორისო ცენტრთან (ნიუ-იორკი), ტოლერანტობის საერთაშორისო მუზეუმთან (ლოს ანჯელესი, აშშ), იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტთან (ისრაელი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სხვა. ამასთან არა მარტო ცენტრისთვის არამედ, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის პირადი არქივი, რომლის დიდი ნაწილი ისრაელს უკავშირდება და მისი სურვილით ცენტრს გადაეცემა საჩუქრად.

მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს, რის შემდეგაც საკითხი სენატის თავმჯდომარემ დასვა კენჭისყრაზე.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის № 104/2023 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 2).

2. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა საკითხი, “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის

ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №18/2025 დადგენილების დამტკიცების შესახებ.
მომხსენებელმა ისაუბრა წარმოდგენილი დოკუმენტაციის ირგვლივ, კერძოდ, დებულებაში დაგეგმილ ცვლილებებზე. აღნიშნა, რომ ინსტიტუტი არსებობს და ფუნქციონირებს 15 წელია, ვრცლად ისაუბრა ინსტიტუტის მიერ განხორციელებულ და მომავალში განსახორციელებელ საქმინობაზე, უპასუხა სხდომის მონაწილეების შეკითხვებს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს “სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №18/2025 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 3).

3. დასამტკიცებლად წარმოდგენილი იქნა „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №15/2025 დადგენილება.
აღინიშნა, რომ ცვლილება ითვალისწინებს ინსტიტუტის ფარგლებში კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიისათვის სტატუსის შეცვლასა და განყოფილების სტატუსის მინიჭებას.
აღნიშნა, რომ უკანასკნელ ხანებში კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის ლაბორატორიის აქტიური მუშაობით არაერთი წარმატებული პროდუქტი შეიქმნა, სხვადასხვა შინაარსის ატლასების სახით. კარტოგრაფიის ლაბორატორიის თანამშრომლები უმეტესად ახალგაზრდები არიან, რომლებიც ჩართული არიან სამეცნიერო საქმიანობაში, აქვეყნებენ სამეცნიერო პუბლიკაციებს, რუკებს და ატლასებს. მათთვის განყოფილების სტატუსი სტიმული და მოტივაცია იქნება. ცვლილება არ საჭიროებს დამატებით ფინანსურ რესურსებს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

**მიღებული გადაწყვეტილება:** დამტკიცდეს „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №15/2025 დადგენილება წარმოდგენილი სახით (დანართი 4).

4. მომხსენებელმა, თსუ ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა ლაშა საღინაძემ აღნიშნა, რომ შემოსულია უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის წერილი, რომელშიც ითხოვენ პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, ქ. თბილისსა (ს/კ 01.14.04.028.018) და ქ. ქუთაისში (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას, 5 წლის ვადით.
აღნიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება, დადგენილი წესით, განთავსდეს ვენდინგისა და ყავის აპარატები, რაოდენობით თითო ცალი, დაახლოებით 2 კვ.მ. ფართზე, თითოეულ ლოკაციაზე.
მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხებს. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლალი ახალბედაშვილმა საბჭოს განუცხადა, რომ იგი უნივერსიტეტის ფართების იჯარით თუ სხვა ნებისმიერი ფორმით გაცემის წინააღმდეგია.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 1

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, ქ. თბილისსა (ს/კ 01.14.04.028.018) და ქ. ქუთაისში (ს/კ 03.05.02.452) დადგენილი წესით, 5 წლის ვადით, ფართების წარმოდგენილი პირობებით იჯარის ფორმით გაცემის თაობაზე, ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსების მიზნით (დანართი 5);

5. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ უნივერსიტეტში შემოსულია შპს „უნიგრუპი 111“-ის წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ

01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.
აღინიშნა, რომ საკითხი განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხვებს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 37

წინააღმდეგი: 1

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო წარმომადგენლობითი საბჭოს 1 (ერთი) წევრმა.

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ნაკვეთის 10 წლის ვადით, დადგენილი წესით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით (დანართი 6);

**6.** როგორც საკითხის მომხსენებელმა აღნიშნა, უნივერსიტეტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ითხოვს ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობას (მზა პროდუქციის შემოტანა/გაყიდვა) ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ/მ. სამზარეულოს მოწყობას და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობას, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.
აღინიშნა, რომ საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ.

საკითხის ირგვლივ გაიმართა მსჯელობა. მომხსენებელმა უპასუხა დასმულ შეკითხებს.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 1

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ.მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ.მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ.მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის მიზნით, ერთ ლოტად, დადგენილი წესით, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით გაცემის თაობაზე, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით წარმოდგენილი პირობებით (დანართი 7);

**7.** თანხმობის მისაღებად წარმოდგენილი იქნა ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს დაახლოებით 5 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.
აღინიშნა, რომ საკითხი დადებითადაა გადაწყვეტილი უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 1

**მიღებული გადაწყვეტილება:** გაიცეს თანხმობა, ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს დაახლოებით 5 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის შესახებ, 5 წლის ვადით, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით წარმოდგენილი პირობებით (დანართი 8);

**8.** წარმომადგენლობითი საბჭოს სამდივნოს უფროსმა, გიორგი ოქიტაშვილმა სხდომის მონაწილეებს გააცნო ინფორმაცია წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა სტატუსის შესახებ. აღნიშნა, რომ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულეტის სტუდენტებმა ილარიონ ფიფიამ, მარიამ შენგელიამ, ელენე გაჩეჩილაძემ, დავით ნებიერიძემ და ლიკა წერეთელმა, პირადი განცხადებებით უარი განაცხადეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობაზე. ამასთან, მათ უფლებამონაცვლეებმა ლუკა ლომჯარიამ და რუსლან შელიამ განცახდებებით ასევე უარი თქვეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობაზე. არჩვენების შედეგების მიხედვით, უფლებამონაცვლე კანდიდატია თამარ ჟამერაშვილი, რომელიც დღეის მდგომარეობით კურსდამთავრებულია. შესაბამისად, არსებულ ვაკანტურ ადგილებზე უნდა გამოცხადდეს არჩევნები.

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნირებათა ფაკულტეტის სტუდენტმა ნინო პაქსაშვილმა ასევე განცახდებით ითხოვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტა. მისი უფლებამონაცვლე ნინო ცხაკაია კი, კურდამთავრებულია. შესაბამისად, ერთ ვაკანტურ ადგილზე უნდა გამოცხადდეს არჩევნები

ფსიქოლოფიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელმა ბარბარე მამაგეიშვილმა ასევე დაწერა პირადი განცახდება სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტის თხოვნით, ხოლო ანი ფურცელაძე, თსუ სასწავლო დეპარტამენტიდან მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით კურსდამთავრებულია. მათ უფლებამონაცვლეებმა - მარიამ ბერიშვილმა და ანასტასია იაშვილმა უარი განაცხადეს წარმომადგენლობითი საბჭოს წევრობაზე. შესაბამისად, ორ ვაკანტურ ადგილზე უნდა გამოცხადდეს არჩევნები;

იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა თამარ ჯინჭარაძემ, ასევე, ითხოვა პირადი განცხადებით სენატის წევრის სტატუსის შეწყვეტა, ხოლო ამავე ფაკულტეტის წარმომადგენელი - საბა ქვათაძე დღეის მდგომარეობით კურსდამთავრებულია. მათ არ ჰყავთ უფლებამონაცვლეები, შესაბამისად, 2 ვაკანტურ ადგილზე უნდა გამოცხადდეს არჩვენები. მედიცინის ფაკულტეტზე, ანა ფაშაევას შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, ხოლო მისი უფლებამონაცვლეები - ლუკა გოგინავა და მარიამ ღონღაძე განცახდებებით ამბობენ უარს სენატის წევრობაზე, შესაბამისად გამოსაცხადებელია არჩვენები.

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ანა ბოკერიას შეწყვეტილი აქვს სტუდენტის სტატუსი, მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე, შესაბამისად 1 (ერთი) ადგილზე უნდა გამოცახდდეს არჩევნები. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე საბა გიორგაძე კურდამთავრებულია და მისმა უფლებამონაცვლემ, ქრისტინე ჩხეტიამ უარი განაცხადა პირადი განცხადებით სენატის წევრობაზე. ასევე კურსდამთავრებულია ნათია კორაშვილი (უფლებამონაცვლე არ ჰყავს), ხოლო გიორგი ლაბაძე განცახდებით ითხოვს სტატუსის

შეწყვეტას, დისერტაციის დაცვიდან გამომდინარე. შესაბამისად, 3 (სამი) ადგილზე უნდა გამოცხადდეს არჩევნები;

ასევე, სტატუსი უწყდება სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალს ავთანდილ ტუკვაძეს, აკადემიურ თანამდებობაზე არჩევის ვადის ამოწურვის გამო. მას არ ჰყავს უფლებამონაცვლე და შესაბამისად, უნდა გამოცხადდეს არჩევნები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კენჭი ეყარა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრების: ილარიონ ფიფიას, მარიამ შენგელიას, ელენე გაჩეჩილაძეს, დავით ნებიერიძეს, ლიკა წერეთელის, ნინო პაქსაშვილის, ბარბარე მამაგეიშვილის, ანი ფურცელაძის, თამარ ჯინჭარაძის, საბა ქვათაძის, ანა ფაშაევას, ანა ბოკერიას, საბა გიორგაძის, ნათია კორაშვილის, გიორგი ლაბაძისა და ავთანდილ ტუკვაძესათვის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსის შეწყვეტას.

**საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა:**

**მომხრე:** 39

**წინააღმდეგი:** 0

**მიღებული გადაწყვეტილება:**

შეუწყდეთ სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრის სტატუსი:

1. თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის წარმომადგენლებს (სტუდენტებს): ილარიონ ფიფიას, მარიამ შენგელიას, დავით ნებიერიძეს, ელენე გაჩეჩილაძეს და ლიკა წერეთელს;
2. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს (სტუდენტს) - ნინო პაქსაშვილს;
3. ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელებს (სტუდენტებს) - ბარბარე მამაგეიშვილსა და ანი ფურცელაძეს;
4. იურიდული ფაკულტეტის წარმომადგენელებს (სტუდენტებს) - თამარ ჯინჭარაძესა და საბა ქვათაძეს;
5. მედიცინის ფაკულტეტის წარმომადგენელს (სტუდენტს) - ანა ფაშაევას;
6. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს - ანა ბოკერიას;

7. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელებს (სტუდენტებს) -საბა გიორგაძეს, ნათია კორაშვილსა და გიორგი ლაბაძეს;
8. სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის წარმომადგენელს (აკადემიური პერსონალს) - ავთანდილ ტუკვაძეს. (დანართი 9).

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი ვლადიმერ მარგველაშვილი



წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი გიორგი ოქიტაშვილი



დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები (2025 წლის 5 მაისი, #2 სხდომა)

## ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი

1. ნაზირა კაკულია -
2. მიხეილ ჩიკვილაძე -
3. ნინო ფარესაშვილი -
4. ლელა ბახტაძე -
5. მარინა მაისურაძე -

სტუდენტები:

1. დავით ნებიერიძე (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) -
2. საბა გოგიბერიძე -

3. მარიამ შენგელია (უფლებამოსილების შეწყვეტამდე)- -

4. ილარიონ ფიფია (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) -

5. ელენე გაჩეჩილაძე (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) -

6. ლიკა წერეთელი (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) -

## ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ილია თავხელიძე-

2. ლია მაჭავარიანი-

3. ნათელა არჩვაძე-

4. ამირან ბიბილაშვილი-

5. მარიამ ახალკაციშვილი-

6. მაკა მურვანიძე-

სტუდენტები:

1. მარიამ ვარდოსანიძე-

2. ვასილ ბერიძე-

3. ხატია ყველაშვილი -

## იურიდიული ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

მაია ივანიძე-

სტუდენტები:

1. ბარბარა მახარაძე-

2. თამარ ჯინჭარაძე (უფლებამოსილების შეწყვეტამდე) -

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ხათუნა მაისაშვილი-

2. ნათია სვანიძე-

სტუდენტები:

1. ალექსანდრე ცაბაშვილი-

2. კახა კუჭუხიძე-

3. ნინო პაქსაშვილი (უფლებამოსილების შეწყვეტამდე)

## ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ გამსახურდია-

2. იზაბელა პეტრიაშვილი-

სტუდენტები:

ბარბარე მამაგეიშვილი (უფლებამოსილების შეწყვეტამდე)- -

## მედიცინის ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. ვლადიმერ მარგველაშვილი-

2. თინა ქიტუაშვილი-

სტუდენტები:

ასჰრაფ მაკკი ელკჰალიფა მოჰამედ-

## ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

აკადემიური პერსონალი:

1. კახაბერ ლორია-

2. ანასტასია ზაქარიაძე-

3. ელისაბედ ბჟალავა-

4. მანანა რუსიეშვილი-

5. თეა ქარჩავა-

6. ნიკოლოზ ჯავახიშვილი-

7. ინგა სანიკიძე-

8. ნათია ფიფია -

სტუდენტები:

1. გიორგი არქანია–

2. ლუკა მამალაშვილი-

3. მარიამ ბაღათურია -

## საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა

ზურაბ გაიპარაშვილი-

## ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკა

ნინო პავლიაშვილი-

## ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

ციური სუმბაძე-

## ალექსანდრე ჯანელიძის სახელობის გეოლოგიის ინსტიტუტი

სოფიო ხუციშვილი-

კავკასიის ალ. თვალჭრელიძის სახელობის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

ლალი ახალბედაშვილი-

შოთა რუსთაველის ლიტერატურის ინსტიტუტი

ალა ნემსაძე-

ელეფთერ ანდრონიკაშვილის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტი

თეიმურაზ მაჩაიძე-

ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტი

თამილა ჩალაძე-

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის სახელობის ინსტიტუტი

გიორგი მამარდაშვილი-

თინათინ წერეთლის სახელობის სახ. და სამართლის ინსტიტუტი

ედიშერ ფუტკარაძე-

მ. ნოდიას გეოფიზიკის ინსტიტუტი

მანანა ნიკოლაიშვილი-

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

მარინა გურგენიშვილი-

რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიის და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

მარინე ხუციშვილი-

პაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

ეთერ კაკულია-

არნოლდ ჩიქობავას ენათმეცნიერების ინსტიტუტი

გვანცა გვანცელაძე-

მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტი

ნოდარ ლომიძე-

ი. ვეკუას გამოყენებითი მათემატიკის ინსტიტუტი

თეა შავაძე-

ანდრია რაზმაძის სახელობის მათემატიკის ინსტიტუტი

ალექსი პაჭკორია-

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 104/2023 30 ოქტომბერი 2023წ.

### სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის“ შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის “უ“ და „ღ“ ქვეპუნქტების, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ჩ“ და „წ“ ქვეპუნქტებისა და 2023 წლის 23 ოქტომბრის №20674/10-02 წერილის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შეიქმნას სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეული - „ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი“.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1 Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail

2. დამტკიცდეს სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - „ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის“ დებულება (დანართი №1).

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აკადემიკოსი ჯაბა სამუშია**
**რექტორი, პროფესორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ,,ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის“

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) **,,ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრი** (შემდგომში - „ცენტრი“) წარმოადგენს უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულს.
2. ცენტრი საკუთარი კომპეტენციის ფარგლებში ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით, უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებითა და წინამდებარე დებულებით.
3. ცენტრს აქვს ბლანკი, რომლის გამოყენება უნდა მოხდეს ცენტრის დირექტორის მიერ კანონმდებლობითა და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი წესით.

## მუხლი 2. ცენტრის მიზნები და უფლებამოსილება

1. ცენტრის ძირითადი მიზნებია:
ა) ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმოება მსოფლიოს წამყვან უნივერსიტეტებთან და საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან;
ბ) თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში უნივერსიტეტისა და მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტების სამეცნიერო წრეებთან და სტუდენტებთან ერთობლივი სამეცნიერო კვლევების წარმოება და საერთაშორისო კონფერენციების ჩატარება;
გ) თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში საქართველოსა და სხვა ქვეყნების მოქალაქეებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა კულტურულ და სამეცნიერო-საგანმანათლებლო სფეროებში;
დ) სხვა საერთაშორისო ტოლერანტობის ცენტრებთან მჭიდრო თანამშრომლობა;
ე) ცენტრის მიერ წარმოებული კვლევებისა და საერთაშორისო კონფერენციებში წარმოდგენილი ნაშრომების ფართო საზოგადოებისთვის

გაცნობა, როგორც საქართველოს აგრეთვე, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის სამეცნიერო შრომებში გამოქვეყნება;
ვ) ტოლერანტობის საერთაშორისო დღისადმი და სხვა მნიშვნელოვან თარიღებთან დაკავშირებული ღონისძიებების მოწყობა, სხვადასხვა ქვეყნის საელჩოებთან თანამშრომლობით;

ზ) მუშაობა ინტერდისციპლინურ, მოკლე და გრძელვადიან, ჯგუფურ და ინდივიდუალურ კვლევით პროექტებზე, რომლებიც ფოკუსირებული იქნებიან აქტუალური პრობლემების სხვადასხვა კუთხით გაშუქებაზე;
თ) თავისი უფლებამოსილებების ფარგლებში უნივერსიტეტის საერთაშორისო სამეცნიერო კვლევების ცენტრად ჩამოყალიბებაში ხელშეწყობა, რომელიც ერთმანეთთან დააკავშირებს ისეთ დარგებში მოღვაწე ქართველ და უცხოელ მეცნიერებს, როგორებიცაა: მსოფლიო ისტორიისა და პოლიტიკის კვლევა, რელიგიათმცოდნეობა და სხვა მომიჯნავე სფეროები;
ი) სამეცნიერო ნაშრომების მომზადება და წიგნებისა თუ კრებულების გამოცემა. ლექციები ტოლერანტობასა და სხვადასხვა მნიშვნელოვან თემებზე, საგანმანათლებლო დისკუსიების ჩატარება.

## მუხლი 3. ცენტრის სტრუქტურა

1. ცენტრის მართვის ორგანოებია ცენტრის საბჭო და ცენტრის ხელმძღვანელი (დირექტორი). ცენტრისათვის ასევე გათვალისწინებულია კოორდინატორის თანამდებობა.
2. ცენტრის საბჭოს შემადგენლობა განისაზღვრება არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრით. ცენტრის საბჭოს შემადგენლობას ცენტრის დირექტორის წარდგინებით ბრძანებით ამტკიცებს უნივერსიტეტის რექტორი.
3. ცენტრის საბჭო:

ა) განსაზღვრავს ცენტრის საქმიანობის პრიორიტეტულ მიმართულებებს;

ბ) განიხილავს და ამტკიცებს კვლევით პროექტებს;

გ) განიხილავს და აფასებს გაწეულ სამუშაოს;

დ) საბჭო იკრიბება რეგულარულად, დირექტორის მოწვევით.

4. ცენტრს ყოველდღიურ საქმიანობას უძღვება და ცენტრს ხელმძღვანელობს დირექტორი, რომელსაც ირჩევს ცენტრის საბჭო და ამტკიცებს რექტორი 3 წლის ვადით.
5. ცენტრის დირექტორი აირჩევა ცენტრის საბჭოს სხდომაზე, კანონმდებლობით დადგენილი წესით, ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით. დირექტორის კანდიდატურის დასახელების უფლებამოსილება აქვს ცენტრის საბჭოს წევრსა და უნივერსიტეტის რექტორს.

6. ცენტრის დირექტორი:

ა) ზედამხედველობას უწევს ცენტრის საქმიანობას;

ბ) კოორდინაციას უწევს ცენტრში გაერთიანებულ სამეცნიერო პროექტებს;

გ) ახორციელებს ცენტრის კავშირებს უნივერსიტეტის გარეთ - როგორც ადგილობრივ სამეცნიერო ინსტიტუციებთან, ისე საზღვარგარეთის სამეცნიერო ცენტრებთან;

დ) დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა და ცენტრის საბჭოს წინაშე, რა მიზნითაც მათ წარუდგენს ყოველწლიურ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

7. ცენტრის დირექტორს საქმიანობის განხორციელებაში დახმარებას უწევს კოორდინატორი.

## მუხლი 4. ცენტრის ქონება და დაფინანსება

1. თავის ფუნქციათა სრულფასოვნად განსახორციელებლად უნივერსიტეტი ცენტრს უზრუნველყოფს სათანადო მატერიალურ-ტექნიკური ბაზით.

2. ცენტრის დაფინანსების წყაროებია:

ა) გრანტებით მიღებული შემოსავალი;

ბ) შემოწირულობები;

გ) საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები.

3. ცენტრის საქმიანობით მოზიდული სახსრები ხმარდება ცენტრის ამ დებულებით განსაზღვრულ მიზნებს.

## მუხლი 5. დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი

ცენტრის დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

## მუხლი 6. დასკვნითი დებულებები

1. უნივერსიტეტს ცენტრის საქმიანობის მიზნებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაეცემა სახელმწიფო პრემიის ლაურეატის ცნობილი კინო რეჟისორის მიხეილ ჭიაურელის ათწლეულების მანძილზე ისრაელში მოპოვებული საარქივო დოკუმენტები და ისრაელზე გადაღებული მრავალრიცხოვანი დოკუმენტური ფილმები, ასევე ქართველ ებრაელთა კულტურის სახლის მიერ მის კუთვნილებაში არსებული ბიბლიოთეკა, სტუდენტებისთვის საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობისა და შესწავლის მიზნით.

2. იმ შემთხვევაში თუ ცენტრი მისი შექმნიდან 3 წლის განმავლობაში ვერ უზრუნველყოფს წინამდებარე დებულების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული დაფინანსების მოპოვებას იგი ჩაითვლება ავტომატურად ლიკვიდირებულად.

3. ცენტრის პირველი დირექტორი ინიშნება რექტორის მიერ, დირექტორის წინამდებარე დებულებით გათვალისწინებული წესით დამტკიცებამდე. გარდა ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა ცენტრის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის სხვა შემთხვევები და პროცედურა რეგულირდება მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 9547/10 23.04.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობით საბჭოს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „თ$^2$“ ქვეპუნქტის საფუძველზე, დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნისა და დებულების დამტკიცების თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2023 წლის 30 ოქტომბრის № 104/2023 დადგენილებას და დამატებით გიგზავნით ინგა ზაბახიძის № 6688/10-02 განცხადებას.

დანართი: 7 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 02 41 Tel/Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; E-mail

ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფოს უნივერსიტეტის
სენატის თავმჯდომარეს,
რექტორს ბატონ ჯაბა სამუშიას.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ტოლერანტობის საერთაშორისო საგანმანათლებლო-კვლევითი ცენტრის შექმნასთან დაკავშირებით დამატებით გაცნობებთ, რომ შექმნის შემთხვევაში ცენტრი იმუშავებს ტოლერანტობის კვლევებზე. ვითანამშრომლებთ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების უნივერსიტეტებთან, მათ შორის: ოქსფორდის უნივერსიტეტთან (დიდი ბრიტანეთი), ტოლერანტობის განათლების საერთაშორისო ცენტრთან (ნიუ-იორკი), ტოლერანტობის საერთაშორისო მუზეუმთან (ლოს ანჯელესი, აშშ), იერუსალიმის ებრაული უნივერსიტეტთან (ისრაელი), ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტთან და სხვა.

ჩვენს წინა განცხადებაში ცენტრის შექმნის შესახებ, ისრაელთან თანამშრომლობას ხაზი გავუსვით მხოლოდ იმიტომ, რომ არა მარტო ცენტრისთვის არამედ, უნივერსიტეტისთვის მნიშვნელოვანი იქნება, რეჟისორ მიხეილ ჭიაურელის პირადი არქივი, რომლის დიდი ნაწილი ისრაელს უკავშირდება და მისი სურვილით ცენტრს გადაეცემა საჩუქრად.

22.04.2025

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

## დ ა დ გ ე ნ ი ლ ე ბ ა

№ 18/2025 31 მარტი 2025 წ.

**"სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „წ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აფხაზეთის ინსტიტუტის 2025 წლის 25 მარტის №5335/10-02 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს შემდეგი ცვლილებები "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში:

ა) მე-3 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ინსტიტუტის მართვის ორგანოებია: ინსტიტუტის საბჭო, ინსტიტუტის დირექტორი (შემდგომში - „დირექტორი") და ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი (შემდგომში „აღმასრულებელი დირექტორი").
2. ინსტიტუტისთვის გათვალისწინებული თანამდებობების დასახელებებია: ინსტიტუტის დირექტორი, ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი, ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, მთავარი სპეციალისტი და უფროსი ლაბორანტი.".

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

ბ) დებულების მე-5 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 5. ინსტიტუტის დირექტორი, აღმასრულებელი დირექტორი**

1. ინსტიტუტის დირექტორს ნიშნავს რექტორი 4 წლის ვადით.
2. ინსტიტუტის დირექტორი:

ა) ადგენს გრძელვადიან სტრატეგიული განვითარების გეგმას;

ბ) შეიმუშავებს ინსტიტუტის სამეცნიერო და სასწავლო პროგრამებს და დასამტკიცებლად წარუდგენს ინსტიტუტის საბჭოს;

გ) ყოველწლიურად ინსტიტუტის საბჭოს წარუდგენს ინსტიტუტის საქმიანობის ანგარიშს;

დ) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში საერთაშორისო დონეზე.

3. ინსტიტუტის დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორისა ინსტიტუტის საბჭოს წინაშე.
4. ინსტიტუტის აღმასრულებელ დირექტორს ნიშნავს რექტორი 4 წლის ვადით.
5. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი:

ა) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის პროგრამების განხორციელებას;

ბ) ამყარებს კავშირებს აფხაზურ მხარესთან და ორგანიზებას უწევს მათთან ურთიერთობასა და თანამშრომლობას;

გ) ორგანიზებას უწევს ინსტიტუტის სამეურნეო საქმიანობას;

დ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის საგამომცემლო საქმიანობას;

ე) წარმოადგენს ინსტიტუტს მესამე პირებთან ურთიერთობაში შიდასახელმწიფოებრივ დონეზე.

6. ინსტიტუტის აღმასრულებელი დირექტორი ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის წინაშე.
7. ინსტიტუტის დირექტორს ჰყავს მოადგილე სასწავლო-სამეცნიერო დარგში, რომელიც:

ა) ხელმძღვანელობს აფხაზური ზეპირმეტყველების სასწავლო კურსებს;

ბ) ახორციელებს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების რედაქტირებას და ამზადებს პუბლიკაციებისთვის;

გ) ხელმძღვანელობს ინსტიტუტის სამეცნიერო პოპულარულ ჟურნალს (ალმანახს).

8. ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე ანგარიშვალდებულია ინსტიტუტის დირექტორის წინაშე.“.

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.
3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.
4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).
5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

**აკადემიკოსი ჯაბა სამუშია**
**რექტორი, პროფესორი**
**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე**

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 9778/10 25.04.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

# წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ "სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამხმარე სამეცნიერო ერთეულის - აფხაზეთის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №63/2018 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე" აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №18/2025 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 02 41 Tel/Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; E-mail

# სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

# დადგენილება

№ 15/2025 31 მარტი 2025 წ.

**„სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის პირველი ნაწილის, 52-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე-3 ნაწილების, 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების" მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ" ქვეპუნქტის, მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის 2025 წლის 5 მარტის №4942/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №4 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ" აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილების პირველი პუნქტით დამტკიცებულ №1 დანართში და მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ა.დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა.დ) კარტოგრაფია-გეოინფორმატიკის განყოფილება;".

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს თსუ-ს კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1, Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ: +(995 32) 225 04 84 Tel.
ელ-ფოსტა: academic.council@tsu.ge E-mail.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

5. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

აკადემიკოსი ჯაბა სამუშია
რექტორი, პროფესორი
აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
რექტორი
LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW –
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
RECTOR

N 9779/10 25.04.2025

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის

სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს

**წ ა რ დ გ ი ნ ე ბ ა**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე–8 მუხლის პირველი პუნქტის „ღ“ ქვეპუნქტის საფუძველზე დასამტკიცებლად წარმოგიდგენთ „სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის ვახუშტი ბაგრატიონის სახელობის გეოგრაფიის ინსტიტუტის დებულების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2016 წლის 14 ნოემბრის №134/2016 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე” აკადემიური საბჭოს 2025 წლის 31 მარტის №15/2025 დადგენილებას.

დანართი: 2 გვერდი

ჯაბა სამუშია

რექტორი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 02 41 Tel/Fax
ელ-ფოსტა: rector@tsu.ge; E-mail

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 10323/10 29.04.2025

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ფართების იჯარით გაცემის თაობაზე:

1. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის 23.12.2024წ. #34510/10 წერილი, რომელშიც ითხოვენ პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას, 5 წლის ვადით.

2. შპს „უნიგრუპი 111“-ის (ს/კ 406510690) წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.
3. ასევე, უნივერსიტეტში შემოსულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წერილი, რომელშიც ითხოვს ბიბლიოთეკის შენობაში და გარე ტერიტორიაზე რიგი ფართების იჯარით გაცემას, კერძოდ:

ა) ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ.მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ.მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ.მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ერთ ლოტად გამოცხადება).

ბ) ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი: 3 ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 10178/10 29.04.2025

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის**

**ოქმი**

ქ. თბილისი

17.04.2025 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე

სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, იოსებ სოფრომაძე, ზვიად სოფრომაძე, მანონი ჯოჯუა, ლიანა ღვალაძე,

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რუსუდან ნასარიძე, ლია მჭედლიშვილი და მურმან ცარციძე.

**დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (01.14.06.006.116 საკადასტრო კოდი) 69 კვ.მ. მიწის ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, ყვავილების გაყიდვის ჯიხურ(ებ)ის მოწყობის მიზნით.
2. პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსების საკითხის შესახებ.
3. უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში (ს.კ. 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის, ასევე დოკუმენტაციის აკინძვის, ლამინირების და ასლების გადაღების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით.
4. ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას #42-ში მდებარე, უნივერსიტეტის მე-9 (ტურიზმის სკოლა) კორპუსში (ს.კ. 01.10.15.017.005) აუდიტორია #503-ის 76 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის და ცეკვის აკადემიის რეპეტიციების ჩატარების მიზნით.
5. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის იჯარის უფლებით (10 წლის ვადით) გაცემის საკითხის შესახებ, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

6. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის საკითხის შესახებ, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა/გაყიდვა) მიზნით; ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართის სულ 49,25 კვ/მ. იჯარის ფორმით გაცემის საკითხის შესახებ, სამზარეულოს მოწყობის მიზნით და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართის იჯარის ფორმით (5 წლის ვადით) გაცემის შესახებ, ღია კაფის მოწყობის-საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ასევე, ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №3-ში, მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხის შესახებ, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.

**დღის წესრიგით განსახილველ საკითხებთან** დაკავშირებით კომისიის წევრმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას მოახსენა შემდეგი:

**საკითხი 1.** უნივერსიტეტში განსახილველად შემოსულია მოქალაქე ქრისტიან შარაშენიძის (პ/ნ 01011014071) 23.01.2025 წ. განცხადება, რომელითაც ითხოვს, ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (01.14.06.006.116 საკადასტრო კოდი) 69 კვ.მ. მიწის ფართის იჯარით გადაცემას, მასზე ყვავილების გაყიდვის ჯიხურ(ებ)ის მოწყობის მიზნით.
დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:
იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფართის იჯარის ფორმით გაცემა, კანონთან შესაბამისობის მიხედვით განხორციელდეს, მიზანშეწონილია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს ოფიციალურად გაეგზავნოს წერილი იჯარის ფორმით გასაცემი უძრავი ქონების კოორდინატების მითითებით და იჯარის გაცემის მიზანი, დანიშნულება და მერიიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მოხდეს საკითხის შემდგომი მსვლელობა.

**საკითხი 2.** უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი 23.12.2024წ. #34510/10 წერილით ითხოვს პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:
უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) განთავსდეს ვენდინგისა და ყავის აპარატები რაოდენობით თითო ცალი, 2 კვ.მ. ფართზე, თითოეულ ლოკაციაზე. შესაბამისად, საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 3.** შემოსულია მოქალაქე გია ბოკუჩავას (პ/ნ 62001019554) განცხადება, რომელშიც ითხოვს უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში (ს.კ. 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარით გადაცემას, მასში ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით, ასევე განახორციელებენ დოკუმენტაციის აკინძვას, ლამინირებას და ასლების გადაღებას, დამატებით მოახდენენ სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მოქალაქის მიერ წარმოდგენილი წინადადება მიზნობრივად გამართლებულია, თუმცა მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია მიეწოდოს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს და ფაკულტეტის პოზიციის დაფიქსირების შემდეგომ იქნეს მიღებული შესაბამისი გადწყვეტილება.

**საკითხი 4.** შემოსულია მოქალაქე გელა ფორცხიშვილის განცხადება, რომელშიც ითხოვს, ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას #42-ში მდებარე, უნივერსიტეტის მე-9 (ტურიზმის სკოლა) კორპუსში (ს.კ. 01.10.15.017.005) აუდიტორია #503-ის 76 კვ.მ. ფართის იჯარით გადაცემას, მასში საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის და ცეკვის აკადემიის რეპეტიციების ჩატარების მიზნით.

დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

განმცხადებელს ეთქვას უარი ფართის დროებით სარგებლობაში გაცემაზე.

**საკითხი 5.** შემოსულია შპს „უნიგრუპი 111"-ის (ს/კ 406510690) წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მიღებული იქნას დადებითი გადაწყვეტილება და საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 6.** უნივერსიტეტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ითხოვს ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობას (მზა პროდუქციის შემოტანა/გაყიდვა) ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ასევე, ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №3-ში, მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ

ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით

დღის წესრიგის მე-6 საკითხებთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მიღებული იქნას დადებითი გადაწყვეტილება და საკითხები განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

იოსებ სოფრომაძე

დეპარტამენტის უფროსი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
პროფესიული განათლების ცენტრი

LEGAL ENTITY OF PUBLIC LAW
IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
CENTRE OF VOCATIONAL EDUCATION

N 34510/10
23.12.2024

34510-10-3-202412231535

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ადმინისტრაციის ხელმძღვანელს,
ბატონ ლაშა საღინაძეს

ბატონო ლაშა,

გთხოვთ, დაავალოთ შესაბამის სამსახურს პროფესიული განათლების ცენტრის ორივე ლოკაციაზე (თბილისი, ქუთაისი) დაამონტაჟოს ვენდინგის აპარატი და ყავის ჩამოსასხმელი აპარატი.

პატივისცემით,

ლევან წიქარიძე

ცენტრის ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი
პროფესიული განათლების ცენტრი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.04.028.018**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 892023108491 - 12/10/2023 17:20:30** | **18/10/2023 10:26:00** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | ვაკე | | |
| **01** | **14** | **04** | **028/018** |

**მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტის , N 2**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 20631.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:
**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:**N1,N2,N3 და N4

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882012789984** , **თარიღი 13/09/2012 17:09:55**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/10/2012**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**
- ნასყიდობის ხელშეკრულება N120975027 , დამოწმების თარიღი:12/09/2012 ,ნოტარიუსი რ.ფიფია

**მესაკუთრეები:**
**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** , ID ნომერი:204864548, იურ. მისამართი:ილია ჭავჭავაძის გამზირი N 1

**მესაკუთრე:** **აღწერა:**
**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882014046906 თარიღი 30/01/2014 13:57:09** | **მოიჯარე**: **შპს "ქართული რაგბი"** 205254455;<br>**მესაკუთრე**: **სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** 204864548;<br>საგანი:პირველი კორპუსის პირველ სართულზე ფართი 63.5 კვ.მ.;<br>ვადა: 2015 წლის 3 მარტამდე; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 24/02/2014** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი30/01/2014, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892012068133 თარიღი 25/10/2012 16:26:41** | **მოიჯარე**: **შპს "ადვესა"** 404858515;<br>**მესაკუთრე**: **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** 204864548;<br>საგანი:5.00 კვ.მ. ფართი:- თითო კვადრატული მეტრი პირველ, მე-5, მე-7, მე-9, და მე-11 სართულზე;<br>საბოლოო თარიღი:26/10/2017; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 14/11/2012** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი25/10/2012, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882017895493 თარიღი 26/09/2017 12:13:31** | **მოიჯარე**: **ლაშა გვაზავა** P/N: 02001002044;<br>**მესაკუთრე**: **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** 204864548;<br>საგანი: უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსის პირველ სართულზე 13,60კვ.მ. ფართობი;<br>ვადა:3 წელი; |

| | |
|---|---|
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 31/10/2017** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი26/09/2017, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019605446 თარიღი 26/07/2019 11:39:15** | **მეიჯარე**: **სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>**მოიჯარე**: **შპს "კანტი"** 200140267;<br>საგანი:უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) კორპუსში 2 კვ.მ. ფართი 1 სართულზე;<br>ვადა:3 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/08/2019** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი19/06/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**<br>**შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის შესახებ 2018 წლის 19 ივლისის N881/08 ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/07/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019983447 თარიღი 26/11/2019 11:59:03** | **მოიჯარე**: **შპს "დელფუდი"** 416291845;<br>საგანი:უნივერსიტეტის მე-10 (მაღლივი) სასწავლო კორპუსში არსებული 434.08 კვ.მ. ფართობი; ;<br>ვადა:5 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 27/11/2019** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი26/11/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023108491 თარიღი 12/10/2023 17:20:30** | **მოიჯარე**: **შპს "ბარისტო"** 412724002;<br>საგანი:ფართი: 4კვ.მ;<br>ვადა:5 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/10/2023** | **ხელშეკრულება N 1125/08 უძრავი ქონების იაჯრის ხელშეკრუყლება , რეესტრის ნომერი N231367776, დამოწმების თარიღი28/09/2023,** |

# ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

## საქართველოს იუსტიციის სამინისტრო
## საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

# საკადასტრო გეგმა

მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი: *01.14.04.028.018*
განცხადების რეგისტრაციის ნომერი 882011284941
მიწის ნაკვეთის ფართობი: *20631* კვ.მ.
დანიშნულება: *არასასოფლო-სამეურნეო*
მომზადების თარიღი 11.06.12




| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 01/2 | შენობა-ნაგებობა, პირობითი ნომერი/სართულიანობა | | ვალდებულება | | ხაზობრივი ნაგებობა |
| | მიწის ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | | მშენებარე ნაგებობა | | მიწისქვეშა ნაგებობა |

0.00 0.0 UTM (საერთაშორისო) სისტემის კოორდ.


105


106


თსუ პროფესიული განათლების
ცენტრი I სართული (თბილისის
ლოკაცია)
ყავის
აპარა
ტი
ვენდინგის
აპარატი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 03.05.02.452**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 892023003275 - 19/09/2023 13:20:56** | **25/09/2023 11:08:24** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| ქუთაისი | ვაკისუბანი | | |
| **03** | **05** | **02** | **452** |

**მისამართი: ქალაქი ქუთაისი , ქუჩა ნიკეა , შესახვევი II , N 8**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაუზუსტებელი ფართობი:** 10555.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი:**02;**
**შენობა-ნაგებობ(ებ)ის საერთო ფართი:**5299.46

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892012082653** , **თარიღი 02/11/2012 12:52:24**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 08/11/2012**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**
- ნასყიდობის ხელშეკრულება N121186900 , დამოწმების თარიღი:31/10/2012 ,ნოტარიუსი რ.ფიფია

**მესაკუთრეები:**
**სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** , ID ნომერი:204864548

**მესაკუთრე:** **აღწერა:**
**სსიპ ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

,,უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა დაუზუსტებელია, შესაბამისად, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე უფლების/ვალდებულების რეგისტრაციის შემთხვევაში წარმოსადგენი იქნება საკადასტრო აზომვითი ნახაზი".

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

**თსუ პროფესიული განათლების ცენტრი I სართული (ქუთაისის ლოკაცია)**




Galaxy A14


EXIT
Galaxy A14


112
Galaxy A14

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 10323/10 29.04.2025

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის"
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ფართების იჯარით გაცემის თაობაზე:

1. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის 23.12.2024წ. #34510/10 წერილი, რომელშიც ითხოვენ პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას, 5 წლის ვადით.

2. შპს „უნიგრუპი 111"-ის (ს/კ 406510690) წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.
3. ასევე, უნივერსიტეტში შემოსულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წერილი, რომელშიც ითხოვს ბიბლიოთეკის შენობაში და გარე ტერიტორიაზე რიგი ფართების იჯარით გაცემას, კერძოდ:

ა) ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ.მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ.მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ.მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ერთ ლოტად გამოცხადება).

ბ) ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი: 3 ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

N 10178/10 29.04.2025

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის სხდომის**

**ოქმი**

ქ. თბილისი

17.04.2025 წ.

სხდომის თავმჯდომარე - ლაშა საღინაძე

სხდომის მდივანი - ნინო კუტალაძე

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

გიორგი შამათავა, არჩილ კუკულავა, იოსებ სოფრომაძე, ზვიად სოფრომაძე, მანონი ჯოჯუა, ლიანა ღვალაძე,

სხდომას არ ესწრებოდნენ კომისიის წევრები: რუსუდან ნასარიძე, ლია მჭედლიშვილი და მურმან ცარციძე.

**დღის წესრიგი:**

1. ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (01.14.06.006.116 საკადასტრო კოდი) 69 კვ.მ. მიწის ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, ყვავილების გაყიდვის ჯიხურ(ებ)ის მოწყობის მიზნით.
2. პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსების საკითხის შესახებ.
3. უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში (ს.კ. 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის, ასევე დოკუმენტაციის აკინძვის, ლამინირების და ასლების გადაღების, სტუდენტებისა და პროფესორ-მასწავლებლებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფის მიზნით.
4. ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას #42-ში მდებარე, უნივერსიტეტის მე-9 (ტურიზმის სკოლა) კორპუსში (ს.კ. 01.10.15.017.005) აუდიტორია #503-ის 76 კვ.მ. ფართის იჯარის უფლებით გაცემის საკითხის შესახებ, საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის და ცეკვის აკადემიის რეპეტიციების ჩატარების მიზნით.
5. უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის იჯარის უფლებით (10 წლის ვადით) გაცემის საკითხის შესახებ, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

6. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართის იჯარის ფორმით გაცემის საკითხის შესახებ, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა/გაყიდვა) მიზნით; ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართის სულ 49,25 კვ/მ. იჯარის ფორმით გაცემის საკითხის შესახებ, სამზარეულოს მოწყობის მიზნით და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართის იჯარის ფორმით (5 წლის ვადით) გაცემის შესახებ, ღია კაფის მოწყობის-საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ასევე, ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №3-ში, მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხის შესახებ, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.

**დღის წესრიგით განსახილველ საკითხებთან** დაკავშირებით კომისიის წევრმა ზვიად სოფრომაძემ კომისიას მოახსენა შემდეგი:

**საკითხი 1.** უნივერსიტეტში განსახილველად შემოსულია მოქალაქე ქრისტიან შარაშენიძის (პ/ნ 01011014071) 23.01.2025 წ. განცხადება, რომელითაც ითხოვს, ქ. თბილისში უნივერსიტეტის ქუჩაზე, უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე (01.14.06.006.116 საკადასტრო კოდი) 69 კვ.მ. მიწის ფართის იჯარით გადაცემას, მასზე ყვავილების გაყიდვის ჯიხურ(ებ)ის მოწყობის მიზნით.
დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:
იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული ფართის იჯარის ფორმით გაცემა, კანონთან შესაბამისობის მიხედვით განხორციელდეს, მიზანშეწონილია, ქ. თბილისის მერიის მუნიციპალიტეტს ოფიციალურად გაეგზავნოს წერილი იჯარის ფორმით გასაცემი უძრავი ქონების კოორდინატების მითითებით და იჯარის გაცემის მიზანი, დანიშნულება და მერიიდან მიღებული ინფორმაციის შესაბამისად მოხდეს საკითხის შემდგომი მსვლელობა.

**საკითხი 2.** უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრი 23.12.2024წ. #34510/10 წერილით ითხოვს პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას.

დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:
უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) განთავსდეს ვენდინგისა და ყავის აპარატები რაოდენობით თითო ცალი, 2 კვ.მ. ფართზე, თითოეულ ლოკაციაზე. შესაბამისად, საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 3.** შემოსულია მოქალაქე გია ბოკუჩავას (პ/ნ 62001019554) განცხადება, რომელშიც ითხოვს უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში (ს.კ. 01.14.06.006.133) 18,52 კვ.მ. ფართის იჯარით გადაცემას, მასში ელექტრონული ბიბლიოთეკის მოწყობის მიზნით, ასევე განახორციელებენ დოკუმენტაციის აკინძვას, ლამინირებას და ასლების გადაღებას, დამატებით მოახდენენ სტუდენტებისა და პროფესორ/მასწავლებლებისათვის საჭირო საკანცელარიო ნივთებით უზრუნველყოფას.

დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მოქალაქის მიერ წარმოდგენილი წინადადება მიზნობრივად გამართლებულია, თუმცა მიზანშეწონილია აღნიშნულ საკითხზე ინფორმაცია მიეწოდოს უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანს და ფაკულტეტის პოზიციის დაფიქსირების შემდეგომ იქნეს მიღებული შესაბამისი გადწყვეტილება.

**საკითხი 4.** შემოსულია მოქალაქე გელა ფორცხიშვილის განცხადება, რომელშიც ითხოვს, ქ. თბილისში ვაჟა-ფშაველას #42-ში მდებარე, უნივერსიტეტის მე-9 (ტურიზმის სკოლა) კორპუსში (ს.კ. 01.10.15.017.005) აუდიტორია #503-ის 76 კვ.მ. ფართის იჯარით გადაცემას, მასში საქართველოს სამეფო ნაციონალური ბალეტის და ცეკვის აკადემიის რეპეტიციების ჩატარების მიზნით.

დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

განმცხადებელს ეთქვას უარი ფართის დროებით სარგებლობაში გაცემაზე.

**საკითხი 5.** შემოსულია შპს „უნიგრუპი 111"-ის (ს/კ 406510690) წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მიღებული იქნას დადებითი გადაწყვეტილება და საკითხი განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

**საკითხი 6.** უნივერსიტეტის ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმძღვანელობა ითხოვს ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობას (მზა პროდუქციის შემოტანა/გაყიდვა) ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით. ასევე, ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №3-ში, მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5კვ/მ

ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის, წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით

დღის წესრიგის მე-6 საკითხებთან დაკავშირებით კომისიამ იმსჯელა და **ერთხმად დაადგინა**:

მიღებული იქნას დადებითი გადაწყვეტილება და საკითხები განსახილველად და გადაწყვეტილების მისაღებად გადაეცეს თსუ-ის წარმომადგენლობით საბჭოს.

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გიორგი შამათავა

ადმინისტრაციის ხელმძღვანელის მოადგილე
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

არჩილი კუკულავა

დეპარტამენტის უფროსი
იურიდიული დეპარტამენტი

იოსებ სოფრომაძე

დეპარტამენტის უფროსი
მატერიალური რესურსების მართვის დეპარტამენტი

ზვიად სოფრომაძე

განყოფილების უფროსი
აქტივების მართვის, ჩამოწერის და განკარგვის განყოფილება

მანონი ჯოჯუა

დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
საფინანსო დეპარტამენტი

ლიანა ღვალაძე

განყოფილების უფროსი
აღრიცხვა-ანგარიშგების განყოფილება

ნინო კუტალაძე

მთავარი სპეციალისტი
იურიდიული დეპარტამენტი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.14.06.006.133**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 892023108597 - 12/10/2023 17:34:37** | **18/10/2023 12:45:59** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | ვაკე | | |
| **01** | **14** | **06** | **006/133** |

**მისამართი: ქალაქი თბილისი , ქუჩა უნივერსიტეტი , ნაკვეთი 06/020**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება
**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო
**დაზუსტებული ფართობი:** 58192.00 კვ.მ.
ნაკვეთის წინა ნომერი: **01.14.06.006.115;**
**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** N1 (მშენებარე), N2, N3, N4, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11, N12

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 882014057309 , თარიღი 05/02/2014 15:05:10**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 06/02/2014**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- ბრძანება N1-3/139 , დამოწმების თარიღი:29/02/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- ბრძანება N1-3/679 , დამოწმების თარიღი:26/07/2012 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- წერილი N05/15654 , დამოწმების თარიღი:18/07/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- ბრძანება N1-1/53 , დამოწმების თარიღი:30/08/2013 ,შპს ,,სახელმწიფო მომსახურების ბიურო"
- ბრძანება N1-3/1179 , დამოწმების თარიღი:28/11/2011 ,სსიპ "საწარმოთა მართვის სააგენტო"
- ნასყიდობის ხელშეკრულება N120975027 , დამოწმების თარიღი:12/09/2012 ,ნოტარიუსი რ.ფიფია
- წერილი N05/14350 , დამოწმების თარიღი:29/06/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

**მესაკუთრეები:**
**სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**, ID ნომერი:204864548

| **მესაკუთრე:** | **აღწერა:** |
|---|---|
| **სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი** | |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019605315 თარიღი 26/07/2019 11:24:05** | **მეიჯარე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>**მოიჯარე: შპს "კანტი"** 200140267;<br>საგანი: უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) კორპუსში 6 კვ.მ. ფართი (ორ-ორი კვ.მ. კორპუსის მინაშენში, I, III, IV და V სართულზე);<br>ვადა:3 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/08/2019** | **შეთანხმება უძრავი ქონების იჯარის შესახებ 2018 წლის 19 ივლისის N881/08 ხელშეკრულება, დამოწმების თარიღი26/07/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ,**<br>**ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი19/06/2018, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882019983471 თარიღი 26/11/2019 12:01:27** | **მოიჯარე: შპს "დელფუდი"** 416291845;<br>**მესაკუთრე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>საგანი: უნივერსიტეტის მე-11 (ბიოლოგების) სასწავლო კორპუსში არსებული 37,97კვ.მ. ფართი;<br>ვადა:5 წელი; |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 01/12/2019** | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი26/11/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 882023573892 თარიღი 08/06/2023 09:48:34** | **მოიჯარე: თეა აბზიანიძე** P/N: 60001013815;<br>საგანი:მიწის ნაკვეთი ფართობით 1007 კვ.მ;<br>ვადა:10 წელი;<br>**ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ , რეესტრის ნომერი N230715889, დამოწმების თარიღი02/06/2023, ნოტარიუსი რუსუდან ფიფია** |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 04/07/2023** | |
| **განცხადების რეგისტრაცია ნომერი 892023108597 თარიღი 12/10/2023 17:34:37** | **მოიჯარე: შპს "ბარისტო"** 412724002;<br>საგანი:ფართი 2 კვ.მ.;<br>ვადა:5 წელი;<br>**ხელშეკრულება N1125/08 უძრავი ქონების იჯარის შესახებ, რეესტრის ნომერი N231367776, დამოწმების თარიღი28/09/2023,** |
| **უფლების რეგისტრაცია: თარიღი 18/10/2023** | |

# ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

"ფიზიკური პირის მიერ 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული მატერიალური აქტივის რეალიზაციისას, აგრეთვე საგადასახადო წლის განმავლობაში 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს. აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საქართველოს საგადასახადო კოდექსის XVIII თავის მიხედვით."

- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

საკადასტრო კოდი: **01.14.06.006.133**

განცხადების ნომერი: **882021433511**

მომზადების თარიღი: **19/06/2021**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**

ფართობი: **58192 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:3200

| | | |
|---|---|---|
| 05/25 მშენებარე ნაგებობა | 05/25 შენობა/ნაგებობა | ტყის ფონდი |
| ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | ხაზობრივი ნაგებობა | ვალდებულება |

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელს, ბატონ ლაშა საღინაძეს**

**თემა:** მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის თაობაზე

**ბატონო ლაშა,**

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი, **შპს „უნიგრუპი111"-ის** წინადადება, რომელიც ეხება უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული **არასაცხოვრებელი უძრავი ქონებიდან (მიწის ნაკვეთი), მდებარე უნივერსიტეტის ქუჩაზე (ნაკვეთი 06/20, საკადასტრო კოდი: 01.14.06.006.133), 1007 კვ.მ. მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადმოცემას**. ჩვენი მიზანია აღნიშნულ ტერიტორიაზე **სასაწყობე მეურნეობის მოწყობა**, რომელიც სრულად შეესაბამება თანამედროვე ინფრასტრუქტურულ და უსაფრთხოების სტანდარტებს.

**ჩვენი ვალდებულებები და წინადადება**

**1. სრული რეაბილიტაცია და კეთილმოწყობა** – მზად ვართ, საფუძვლიანად გავარემონტოთ და მოვაწესრიგოთ აღნიშნული ტერიტორია.
**2. თანამშრომლობა უნივერსიტეტთან** – ყველა სარეაბილიტაციო სამუშაო განხორციელდება უნივერსიტეტთან შეთანხმებით.
**3. დამატებითი ღირებულება უნივერსიტეტისთვის** – უნივერსიტეტი, ყოველთვიური საიჯარო გადასახადის გარდა, მიიღებს განახლებულ და მოწესრიგებულ ინფრასტრუქტურას, რაც მის საკუთრებას დამატებით ღირებულებას შესძენს.

მიგვაჩნია, რომ აღნიშნული პროექტი საინტერესო იქნება უნივერსიტეტისთვის როგორც ფინანსური, ასევე ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით.

გთხოვთ, განიხილოთ ჩვენი შემოთავაზება, და მზად ვართ, საჭიროების შემთხვევაში, წარმოგიდგინოთ დამატებითი ინფორმაცია ან განვიხილოთ დეტალები შეხვედრაზე.

**პატივისცემით,**

**ბექა გლურჯიძე**

შპს „უნიგრუპი111"
ს/კ: 406510690

საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

N 10323/10 29.04.2025

სსიპ „ივანე ჯავახიშვილის სახელობის
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის“
წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერს,

ბატონ ვლადიმერ მარგველაშვილს

ბატონო ვლადიმერ,

წარმოგიდგენთ შემოსულ განცხადებებს, უნივერსიტეტის სხვადასხვა ლოკაციებზე ფართების იჯარით გაცემის თაობაზე:

1. უნივერსიტეტის პროფესიული განათლების ცენტრის 23.12.2024წ. #34510/10 წერილი, რომელშიც ითხოვენ პროფესიული განათლების ცენტრის ლოკაციებზე, თბილისი (ს/კ 01.14.04.028.018) და ქუთაისი (ს/კ 03.05.02.452) ვენდინგისა და ყავის აპარატების განთავსებას, 5 წლის ვადით.

2. შპს „უნიგრუპი 111“-ის (ს/კ 406510690) წერილი, რომელშიც ითხოვენ უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ 01.14.06.006.133, ნაკვეთი 06/20) 1007 კვ.მ მიწის ფართის 10 წლის ვადით იჯარით გადაცემას, სასაწყობო მეურნეობის მოწყობის მიზნით.

3. ასევე, უნივერსიტეტში შემოსულია ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის წერილი, რომელშიც ითხოვს ბიბლიოთეკის შენობაში და გარე ტერიტორიაზე რიგი ფართების იჯარით გაცემას, კერძოდ:

ა) ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136) მდებარე, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ.მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ 49,25 კვ.მ. სამზარეულოს მოწყობის და სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40კვ.მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის, იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით (ერთ ლოტად გამოცხადება).

ბ) ქ. თბილისში მ. ალექსიძის II შესახვევი №1-3-ში (ს.კ. 01.10.13.040.136), მდებარე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5 კვ.მ. ფართის იჯარის ფორმით, 5 წლის ვადით, ერთ ლოტად გაცემის საკითხი, მსუბუქი კონსტრუქციის წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.

ილია ჭავჭავაძის გამზ. 1, 0179 თბილისი, საქართველო
1. Ilia Tchavtchavadze Ave., 0179 Tbilisi, Georgia
http://www.tsu.edu.ge
ტელ/ფაქსი: +(995 32) 222 35 01 Tel/Fax
ელ-ფოსტა: chancellery@tsu.ge; E-mail

აღნიშნული საკითხები განხილული იქნა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დროებით სარგებლობაში გაცემისა და საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების გასხვისების საკითხების განმხილველი მუდმივმოქმედი კომისიის (სხდომის ოქმი 17.04.2025წ. კ/ნ N10178/10 - 29.04.2025წ) მიერ და მიღებული იქნა დადებითი გადაწყვეტილება.

უნივერსიტეტის წესდების 47-ე მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, წარმოგიდგენთ შესაბამის დოკუმენტაციას.

გთხოვთ, განიხილოთ და მოგვცეთ თანხმობა დასმულ საკითხებთან დაკავშირებით.

დანართი: 3 ფაილი.

პატივისცემით,

ლაშა საღინაძე

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მიწის (უძრავი ქონების) საკადასტრო კოდი **N 01.10.13.040.136**

# ამონაწერი საჯარო რეესტრიდან

| განცხადების რეგისტრაცია | მომზადების თარიღი |
|---|---|
| **N 882025074600 - 27/01/2025 11:25:54** | **30/01/2025 12:14:45** |

## საკუთრების განყოფილება

| ზონა | სექტორი | კვარტალი | ნაკვეთი |
|---|---|---|---|
| თბილისი | საბურთალო | | |
| **01** | **10** | **13** | **040/136** |

**მისამართი: ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი, N 3, ქალაქი თბილისი, მერაბ ალექსიძის II შესახვევი, N 1**

**ნაკვეთის საკუთრების ტიპი:** საკუთრება

**ნაკვეთის დანიშნულება:** არასასოფლო სამეურნეო

**დაზუსტებული ფართობი:** 8800.00 კვ.მ.

ნაკვეთის წინა ნომერი:**01.10.13.040.095; 01.10.13.040.096;**

**შენობა-ნაგებობის ჩამონათვალი:** N1 საერთო ფართით 12773.47 კვ.მ (მ.შ ტერასა 2405.67 კვ.მ ) , N2 - ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვმ. N3 საერთო ფართობით 46.9 კვმ. N4, N5

## მესაკუთრის განყოფილება

**განცხადების რეგისტრაცია : ნომერი 892023050606 , თარიღი 26/09/2023 12:39:08**
**უფლების რეგისტრაცია: თარიღი 03/10/2023**

**უფლების დამადასტურებელი დოკუმენტი:**

- წერილი N7/23014 , დამოწმების თარიღი:24/04/2015 ,სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"
- ბრძანება N1-1/53 , დამოწმების თარიღი:30/08/2013 ,შპს "სახელმწიფო მომსახურების ბიურო"
- წერილი N05/4849 , დამოწმების თარიღი:29/02/2012 , საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
- წერილი N7/23014 , დამოწმების თარიღი:24/04/2015 ,სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"

**მესაკუთრეები:**
**შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"**, ID ნომერი:405007200
**სახელმწიფო**

| მესაკუთრე: | აღწერა: |
|---|---|
| **სახელმწიფო** | მიწის ნაკვეთი და მასზე მდგარი შენობა N1-ში 12760.6 კვ.მ. (მ.შ. ტერასა 2403.67 კვ.მ.) N2, N3, N4, N5 |
| **შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია"** | შენობა N1-ში მე-4 სართულზე 10.87 კვ.მ., ტერასა 2 კვ.მ. |

## იპოთეკა

**საგადასახადო გირავნობა:**

**რეგისტრირებული არ არის**

## სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882016280357** თარიღი 05/05/2016 13:23:49 | **მოიჯარე: შპს "ვიონი საქართველო"**204450584;<br>**მესაკუთრე: შპს " აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია "**405007200;<br>საგანი:შენობა N1-ში მე-4 სართულზე 10.87 კვ.მ., ტერასა 2 კვ.მ.;<br>საბოლოო ვადა:2021 წლის 01 მაისიდან 5 წლის ვადით; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 11/05/2016 | **იჯარის ხელშეკრულება N157/12, დამოწმების თარიღი13/03/2012, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო , ,**<br>**შეთანხმება, დამოწმების თარიღი28/04/2016, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო,**<br>**შეთანხმება ხელშეკრულებების მოქმედების ვადის გაგრძელების შესახებ, დამოწმების თარიღი01/10/2021, სსიპ საქართველოს იუსტიციის სამინისტრო საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ,** |
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882019100615** თარიღი 12/02/2019 16:21:55 | **მეიჯარე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>**მოიჯარე: შპს "ბარისტო"** 412724002;<br>საგანი:შენობა N1 დან ფართი 4 კვ.მ. (მათ შორის შენობის I სართულზე 2 კვ.მ. და III სართულზე 2 კვ.მ.);<br>ვადა:5 წელი; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 13/02/2019 | **ხელშეკრულება უძრავი ქონების იჯარის შესახებ, დამოწმების თარიღი12/02/2019, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო** |

---

## შეზღუდული სარგებლობა

| | |
|---|---|
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015411926** თარიღი 22/07/2015 14:57:17 | **მოსარგებლე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>საგანი: 2631 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობები: N4, N3 საერთო ფართობით 46.9 კვმ. და N2 ნაგებობა (აუზი) ფართობით 393.8 კვმ.;<br>არსებობის ვადით; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/07/2015 | **წერილი N5/42763, დამოწმების თარიღი14/07/2015, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"** |
| განცხადების რეგისტრაცია ნომერი **882015411951** თარიღი 22/07/2015 15:02:07 | **მოსარგებლე: სსიპ "ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი"** 204864548;<br>**მესაკუთრე: სახელმწიფო;**<br>საგანი: შენობა N1-ში 12760.6 კვ.მ. (მ.შ. ტერასა 2403.67 კვ.მ.) და მათზე წილობრივად დამაგრებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი.;<br>არსებობის ვადით; |
| უფლების რეგისტრაცია: თარიღი 29/07/2015 | **წერილი N5/42763, დამოწმების თარიღი14/07/2015, სსიპ "სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო"** |

---

## ვალდებულება

**ყადაღა/აკრძალვა:**

**რეგისტრირებული არ არის**

**მოვალეთა რეესტრი:**

**რეგისტრირებული არ არის**

- ფიზიკური პირის მიერ არასამეწარმეო საქმიანობის ფარგლებში 2 წლამდე ვადით საკუთრებაში არსებული ქონების/აქტივის მიწოდებით ნამეტი შემოსავლის მიღების შემთხვევაში ფიზიკური პირი ვალდებულია არაუგვიანეს საანგარიშო თვის მომდევნო თვის 15 რიცხვისა საგადასახადო ორგანოს წარუდგინოს დეკლარაცია საშემოსავლო გადასახადის შესახებ და ამავე ვადაში გადაიხადოს კუთვნილი საშემოსავლო გადასახდი.
- საგადასახადო წლის განმავლობაში გადახდის წყაროსთან დაუკავებლად 1000 ლარის ან მეტი ღირებულების ქონების საჩუქრად მიღებისას საშემოსავლო გადასახადი გადახდას ექვემდებარება საანგარიშო წლის მომდევნო წლის 1 აპრილამდე, რის შესახებაც აღნიშნული ფიზიკური პირი იმავე ვადაში წარუდგენს დეკლარაციას საგადასახადო ორგანოს.
- აღნიშნული ვალდებულების შეუსრულებლობა წარმოადგენს საგადასახადო სამართალდარღვევას, რაც იწვევს პასუხისმგებლობას საგადასახადო კოდექსის XL თავის მიხედვით.
- დოკუმენტის ნამდვილობის გადამოწმება შესაძლებელია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge;
- ამონაწერის მიღება შესაძლებელია ვებ–გვერდზე www.napr.gov.ge, ნებისმიერ ტერიტორიულ სარეგისტრაციო სამსახურში, იუსტიციის სახლებსა და სააგენტოს ავტორიზებულ პირებთან;
- ამონაწერში ტექნიკური ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში დაგვიკავშირდით: 2 405405 ან პირადად შეავსეთ განაცხადი ვებ–გვერდზე;
- კონსულტაციის მიღება შესაძლებელია იუსტიციის სახლის ცხელ ხაზზე 2 405405;
- საჯარო რეესტრის თანამშრომელთა მხრიდან უკანონო ქმედების შემთხვევაში დაგვიკავშირდით ცხელ ხაზზე: 2 405405
- თქვენთვის საინტერესო ნებისმიერ საკითხთან დაკავშირებით მოგვწერეთ ელ-ფოსტით: info@napr.gov.ge

# საკადასტრო გეგმა

**საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო**

საკადასტრო კოდი: **01.10.13.040.136**
განცხადების ნომერი: **882025074600**
მომზადების თარიღი: **30/01/2025**

ნაკვეთის დანიშნულება: **არასასოფლო სამეურნეო**
ფართობი: **8800 კვ.მ (WGS 84 / UTM zone 38N)**




კოორდინატთა სისტემა: WGS 84 / UTM zone 38N

მასშტაბი 1:900

10 20 30

| | | |
|---|---|---|
| 05/25 მშენებარე ნაგებობა | ნაკვეთის საკადასტრო საზღვარი | 05/25 შენობა/ნაგებობა |
| ხაზობრივი ნაგებობა | ტყის ფონდი | ვალდებულება |

KK Group

# დამოუკიდებელი შემფასებლის

# შეფასების ანგარიში

თბილისი 2025

*დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში ---------------------------------------------- 4*

*1.0. უმაღლესი და საუკეთესო გამოყენება ---------------------------------------------- 5*

*2.0. შეზღუდვები და დაშვებები ---------------------------------------------- 5*

*3.0.  ღირებულების საფუძვლები (შსს 104)---------------------------------------------- 6*

*4.0 ვიზუალიაცია ---------------------------------------------- 7*

*5.0 გაყიდვების შედარების მიხედვით მიდგომა (მეთოდი)  ---------------------------------------------- 9*

# შინაარსი

შპს ,,კკ ჯგუფსა" და სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის 2025 წელს 14 თებერვალს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ N100/06 ხელშეკრულების თანახმად უძრავი ქონების შემფასებელმა სოფიო კიკნაძემ (სერთიფიკატის N A-1191) მოახდინა ქ. თბილისში, ალექსიძის მე-2 შესახვევი N3-ში და N2-ში (ს/კ 01.10.13.040.136) არსებული ფართების ყოველთვიური საიჯარის ღირებულების განსაზღვრა.
ამ დასკვნაში მოყვანილი ფაქტების და გარემოებების გათვალისწინებით შემფასებლის მიერ 2025 წლის 10 მარტის მდგომარეობით შესაფასებელი ფართების ყოველთვიურ საიჯარო ღირებულება შეფასდა: იხ. დანართი N1

შეფასება ჩატარებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ 2025 წელს გამოქვეყნებული სტანდარტების შესაბამისად.

შემფასებელი ადასტურებს შემდეგს:

- დასკვნაში გადმოცემული შედეგები ეფუძნება შემფასებლის ცოდნას;
- ჩატარებული ანალიზი და დასკვნები შეზღუდულია მხოლოდ მასში აღნიშნული შემზღუდავი პირობებით და დაშვებებით;
- შემფასებელს არ გააჩნდა შესაფასებელი ქონების მიმართ ინტერესი;
- შემფასებლის ანაზღაურება არ არის დამოკიდებული დასკვნის არცერთ ასპექტზე;
- შეფასება ჩატარებულია ეთიკის კოდექსის და მოქცევის (ქცევის) სტანდარტებთან შესაბამისობაში;
- შემფასებლის განათლება შეესაბამება აუცილებელ მოთხოვნებს;
- შემფასებელს გააჩნია შესაბამისი გამოცდილება და კარგად იცნობს შესაფასებელი ქონების ადგილმდებარეობას;
- შემფასებელმა პირადად მოახდინა შესაფასებელი ქონების ინსპექტირება.

მოცემული დასკვნა მომზადებულია მხოლოდ შესაფასებელი ქონების ღირებულების შესახებ თქვენი ინფორმირებისათვის. იგი კონფიდენციალურია და ამრიგად, დაუშვებელია მისი მთლიანად ან ნაწილობრივ პუბლიკაცია, ან მასზე მინიშნებებისა და მასში აღნიშნული მონაცემების, შემფასებლის სახელისა და პროფესიული კუთვნილობის პუბლიკაცია, შემფასებლთან წერილობითი თანხმობის გარეშე, ხელშეკრულებაში ან შეფასების დასკვნაში აღნიშნული შემთხვების გარდა.

| | |
|---|---|
| უძრავი ქონების შემფასებელი | დირექტორი |
| სოფიო კიკნაძე | კონსტანტინე კიკნაძე |

# დამოუკიდებელი შემფასებლის ანგარიში

| | |
|---|---|
| *დასკვნის N* | *10 მარტი 2025 წელი* |
| *შეფასების საფუძველი:* | *კლიენტსა და შემფასებელს შორის 14.02.2025 წელს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება N 100/06* |
| *კლიენტი:* | *სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი* |
| *შესაფასებელი ქონება (შეფასების ობიექტი):* | |
| *შესაფასებელი ქონების ტიპი:* | *შემფასებლის აზრით შეფასების ობიექტი წარმოადგენს არასპეციალიზირებული ქონების ტიპს.* |
| *მესაკუთრე:* | *შპს „აქტივების მართვისა და განვითარების კომპანია“, სახელმწტიფო* |
| *შეფასების მიზანი:* | *ყოველთვიური საიჯარო ღირებულების დადგენა* |
| *შეფასების სავარაუდო გამოყენება:* | *კლიენტის კონსულტაცია შეფასების ობიექტის საბალანსო ღირებულების ოდენობის შესახებ.* |
| *შეფასებული უფლება:* | *საკუთრებაზე მთლიანი უფლება.* |
| *თარიღები:* | *ქონების ღირებულების შეფასების თარიღი 10/03/2025, ინსპექტირების თარიღი 06/03/2025 მომზადების თარიღი 27/02/-10/03/2025 წელი* |
| *შეფასებული ღირებულება:* | *საბაზრო ღირებულების დეფინიცია მოცემულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის მიერ 2025 წელს გამოქვეყნებული სტანდარტების კრებულში, შემდეგი სახით: საბაზრო ღირებულება წარმოადგენს გამოთვლად ფულად სიდიდეს, რომელითაც, გაიცვლება აქტივი შეფასების თარიღისათვის დაინტერესებულ მყიდველსა და დაინტერესებულ გამყიდველს შორის "გაშლილი მკლავის" პრინციპით ტრანსაქციისას, მართებული მარკეტინგის ჩატარების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე მოქმედებს გათვითცნობიერებულად, წინდახედულად და ძალდატანების გარეშე".* |
| *შეფასებული ღირებულების სიდიდე:* | *იხ. დანართი N1* |
| *შეფასების ბაზები:* | *მოცემული შეფასება განხორციელებულია შეფასების საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის 2025 წელს გამოქვეყნებული სტანდარტების კრებულის შესაბამისად.* |

# 1.0. უმაღლესი და საუკეთესო გამოყენება

**დეფინიცია**

ქონების ყველაზე სავარაუდო გამოყენება, რომელიც ფიზიკურად შესაძლებელია, იურიდიულად დაშვებულია და ფინანსურად შესაძლებელია, და ამასთან ერთად ქონების შეფასება იძლევა ღირებულების მაქსიმალურ ოდენობას.

**ანალიზის სახეები**

შეფასების პრაქტიკაში მიღებულია უმაღლესი და საუკეთესო გამოყენების ანალიზის ორი სახე:
1. ვაკანტური მიწის ნაკვეთისათვის;
2. გაუმჯობესებების (გაუმჯობესებული) მქონე მიწის ნაკვეთისათვის.
მიწის ნაკვეთის განაშენიანებიდან გამომდინარე ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებელს მიაჩნია, რომ შესაფასებელი ქონების უმაღლესს და საუკეთესო გამოყენებას წარმოადგენს მისი არსებული გამოყენება.

# 2.0. შეზღუდვები და დაშვებები

შეფასების პროცესს თან ახლდა შემდეგი სახის შემზღუდავი პირობები და ამ პირობებიდან შემფასებლის მიერ გაკეთებულ/მიღებულ იქნა შემდეგი სახის დაშვებები:
1. შემფასებელმა მოიძია ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და საკადასტრო რუკა. ამ შეფასების მიზნებისათვის შემფასებლის მიერ მიღებულია დაშვება იმის შესახებ, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერში ასახული ნებისმიერი სახის ინფორმაცია სწორია და შეესაბამება რეალობას.
2. შემფასებელი გულისხმობს რაიმე სახის ფარული ფაქტორების არ არსებობას (დასკვნაში აღნიშნულის გარდა), რომელთაც შეიძლება გავლენა ჰქონდეს შესაფასებელი ქონების ღირებულებაზე და არ იღებს პასუხისმგებლობას ასეთი ფაქტების არსებობაზე.
3. შემფასებელს არ ევალებდა და მას არ მოუხდენია შესაფასებელი ქონების შემადგენელი მიწის ნაკვეთის გეოლოგიური კვლევა, რის გამოც ამ შეფასების მიზნებისათვის იგულსხმება, რომ მიწის ნაკვეთის გეოლოგიური მდგომარეობა აკმაყოფილებს სეისმურ და სხვა მოთხოვნებს.
4. მოცემული ანგარიში მოიცავს შემფასებლის პროფესიონალურ აზრს მის მიერ შეფასებულ ღირებულების მაჩვენებელთან მიმართებაში და არ შეიძლება ჩაითვალოს გარანტიად იმისა, რომ შეფასებული ქონება ხელიდან ხელში გასხვისებული იქნება ზუსტად შეფასებული ღირებულების მიხედვით.
5. ღირებულების საბოლოო მაჩვენებელი წარმოადგენს მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის შედეგად მიღებულ შედეგს და არ წარმოადგენს იმის გარანტიას, რომ ბაზარზე შეიძლება არ არსებობდეს სხვა შეთავაზებები ან გარიგების ფაქტები რომლებიც განსხვავდებიან თანხობრივი მაჩვენებლებით.

## 3.0. ღირებულების საფუძვლები (შსს 104)

**საბაზრო საიჯარო ქირა**

შემფასებლების მიერ შსს-ებით განსაზღვრული ღირებულების საფუძველი - საბაზრო საიჯარო ქირა შერჩეულია შეფასების დავალების პირობებისა და მიზნის შესაბამისად, რომელიც ითვალისწინებს დამკვეთის წარმომადგენლებისგან მიღებულ მითითებებს და საბაზისო მონაცემებს.

- ✓ საბაზრო საიჯარო ქირა არის გაანგარიშებითი თანხა, რის საფასურადაც ქონება უნდა გაიცეს იჯარით დაინტერესებული მეიჯარის მიერ დაინტერესებულ მოიჯარეზე შეფასების თარიღისათვის, იჯარის შესაფერისი პირობებით, „გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით" დადებული გარიგებით, სათანადო მარკეტინგული ღონისძიებების შემდეგ, როდესაც თითოეული მხარე იმოქმედებს შეგნებულად, წინდახედულად და ძალდაუტანებლად;
- ✓ საბაზრო საიჯარო ქირის გამოყენება ღირებულების საფუძვლად შეიძლება იმ შემთხვევაში, როდესაც შემფასებელი აფასებს იჯარას, ან იჯარით წარმოქმნილ ინტერესს. ასეთ შემთხვევაში, აუცილებელია იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის განხილვა და ასევე საბაზრო საიჯარო ქირის განხილვაც, თუ განსხვავებულია;
- ✓ საბაზრო საიჯარო ქირის ინტერპრეტაციაში დასახმარებლად შესაძლებელია საბაზრო ღირებულების განმარტებაში გათვალისწინებული კონცეპტუალური საფუძვლების გამოყენება. კერძოდ, გაანგარიშებითი თანხიდან სპეციალურად გამორიცხულია განსაკუთრებული პირობების, მოსაზრებების ან დათმობების გავლენით აწეული ან დაწეული საიჯარო ქირა. „იჯარის შესაფერისი პირობები" ისეთი პირობებია, რომლებზეც, ჩვეულებრივ, შეთანხმდებოდნენ ამ ტიპის ქონების ბაზარზე ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისათვის. საბაზრო საიჯარო ქირის შეფასება (სიდიდე) ანგარიშში უნდა აისახოს მხოლოდ იჯარის ძირითად პირობებთან ერთად;
- ✓ სახელშეკრულობო საიჯარო ქირა არის საიჯარო ქირა, რომელიც გადასახდელია ფაქტობრივი იჯარის პირობების თანახმად. იგი შეიძლება იყოს ფიქსირებული (წინასწარ განსაზღვრული) თანხა იჯარის მთელი ვადისთვის, ან ცვალებადი. საიჯარო ქირის განსხვავებების გამოთვლის სიხშირე და საფუძველი განსაზღვრული იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში და შემფასებლისთვის სავალდებულოა მათი დადგენა და ცოდნა, მეიჯარის კუთვნილი მთლიანი სარგებლისა და მოიჯარის ვალდებულების დასადგენად;
- ✓ გარკვეულ გარემოებებში, შეიძლება აუცილებელი იყოს საბაზრო საიჯარო ქირის სიდიდის შეფასება არსებული იჯარის პირობების საფუძველზე (მაგ. საიჯარო ქირის დადგენის მიზნით, როდესაც იჯარის პირობები არსებობს და მაშასადამე არ იგულისხმება, რომ საიჯარო ქირა წარმოადგენს წარმოსახვითი იჯარის ნაწილს);
- ✓ საბაზრო საიჯარო ქირის გამოთვლისას, შემფასებელმა ვალდებულია გაითვალისწინოს:

- ისეთი საბაზრო საიჯარო ქირისთვის, რომელიც რომელიმე იჯარის საგანია - ამ იჯარის ვადები და პირობები მიიჩნევა იჯარის შესაფერის პირობებად, თუ ეს ვადები და პირობები არ არის უკანონო, ან არ ეწინააღმდეგება ნორმატიულ-საკანონმდებლო ბაზას;
- ისეთი საბაზრო საიჯარო ქირისთვის, რომელიც რომელიც არ არის რომელიმე იჯარის საგანი - პირობითი ვადები და პირობები იქნება წარმოსახვითი იჯარის პირობები, რომლებზეც ჩვეულებრივ შეთანხმდებოდნენ ამ ტიპის ქონების ბაზარზე ბაზრის მონაწილეები შეფასების თარიღისათვის;

# 4.0 ვიზუალიაცია

1. ქ.თბილისში, მ.ალექსიძის II შესახვევი N3-ში მდებარე, თსუ ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის შენობის პირველი სართულის ფოიეს მარჯვენა მხარეს არსებული 69,6 კვ/მ. ფართზე, მსუბუქი კონსტრუქციის კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა) და ამავე შენობის პირველ სართულზე არსებული სასადილოს ნაწილის მომიჯნავედ მდებარე დამხმარე ფართზე, სულ-49,25კვ/მ. სამზარეულოს მოწყობის, სასადილოს მიმდებარე ეზოს ტერიტორიაზე 40 კვ/მ (8x5) ფართზე, ღია კაფის მოწყობის და საზოგადოებრივი კვების ობიექტის ფუნქციონირების მიზნით.





2. ქ. თბილისში, მ. ალექსიძის II შესახვევი N3-ში, მდებარე თსუ ესბ-ს შენობის პირველი სართულის ფოიეს მარცხენა მხარეს 5 კვ.მ. ფართი, მსუბუქი კონსტრუქციის და წიგნის მაღაზიის მოწყობის მიზნით.




3. ქ. თბილისში, მ.ალექსიძის ქ. II შესახვევი N1-ში, მდებარე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის თანასარგებლობაში არსებული უძრავი ქონების N1-შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე საერთო სარგებლობის ფართის ნაწილი (1კვ.მ.) სწრაფი აპარატის (pay box) განთავსების მიზნით.




KK Group

## 5.0 ყოველთვიური საიჯარო ღირებულების შეფასება (გაყიდვების შედარების მეთოდი)

შემფასებელმა მოიპოვა ინფორმაცია ელექტორნული აუქციონის შედეგად უკვე შემდგარ გარიგებებზე, კაფის მოწყობის (მზა პროდუქციის შემოტანა-გაყიდვა), ასევე სწრაფი აპარატების განთავსებისათვის საჭირო ფართის იჯარის შესახებ მონაცემები და შედარების პროცედურების განხორციელების შემდეგ შეაფასა შეფასების ობიექტების საბაზრო საიჯარო ქირის სიდიდე.

ანალოგი N1

eAuction.ge eAuction.ge



**სწრაფი კვების/ ყავის სავაჭრო აპარატების განთავსებისათვის საჭირო ფართის იჯარის უფლებით**

ცხადდება პირობიანი ელექტრონული აუქციონი 2024 წლისთვის სსიპ - საქართველოს ოპერატიულ-ტექნიკური სააგენტ...

**გაყიდვის ფასი: 305.00**

